შპს "გოდე"

ს.ნ. 400286999

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	**2024**	**2023**
ამონაგები		11,487,595	7,410,238
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		(9,775,721)	(6,375,769)
საერთო მოგება		**1,711,874**	**1,034,469**
შრომის ანაზღაურება		(518,932)	(365,686)
საიჯარო ქირა		(155,243)	(111,476)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(146,117)	(194,069)
საოპერაციო მოგება		**891,582**	**363,238**
საპროცენტო ხარჯი		(121,599)	(52,825)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-	(12,980)
მოგების გადასახადი		(67,470)	(66,992)
წმინდა მოგება/ზარალი		**702,514**	**230,442**
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის დასაწყისში		**520,572**	**594,534**
პერიოდის მოგება/ზარალი		702,514	230,442
გამოცხადებული დივიდენდები		377,715	304,399
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის ბოლოს		**845,371**	**520,572**

მთავარი ბუღალტერი _____ შორენა ბოლქვაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	71,082	86,727
არამატერიალური აქტივები		2,502	2,502
		73,583	**89,229**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		851,029	383,214
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,093,126	1,027,272
სხვა მოკლევადიანი აქტივები		49,250	56,350
ფული და ფულის ექვივალენტები	6	270,501	125,169
		2,263,906	**1,592,005**
სულ აქტივები		**2,337,489**	**1,681,234**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		288,581	47,698
გაუნაწილებელი მოგება		845,371	520,572
		1,133,952	**568,270**
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		158,828	98,071
სასესხო ვალდებულებები		1,044,709	946,234
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		-	68,659
		1,203,537	**1,112,964**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**2,337,489**	**1,681,234**

მთავარი ბუღალტერი _____ შორენა ბოლქვაძე

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2024 საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება / (ზარალი)	702,514	230,442
ცვეთა და ამორტიზაცია	15,646	16,118
ცვლილება საოპერაციო კაპიტალში	(534,471)	(480,213)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**183,688**	**(233,654)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	(1,992)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**-**	**(1,992)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
ცვლილება საკუთარ კაპიტალში	240,883	47,698
გაცემული დივიდენდები	(377,715)	(304,399)
ცვლილებები სასესხო ვალდებულებებში	98,475	581,150
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	**(38,356)**	**324,449**
ფული პერიოდის დასაწყისში	**125,168**	**36,369**
წმინდა ფულადი ნაკადები	**145,333**	**88,800**
ფული პერიოდის ბოლოს	**270,501**	**125,168**

მთავარი ბუღალტერი _____ შორენა ბოლქვაძე

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1. ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს "გოდე" (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2020 წლის ივნისში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 400286999.

კომპანიის ძირითად საქმიანობას გახსნის დღიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოადგენს გაყინული კვების პროდუქტების საბითუმო/საცალო რეალიზაცია და დისტრიბუცია.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ც. დადიანის ქ., №142, ბ. №13

2. მომზადების საფუძველი

2.1 შესაბამისობის განცხადება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

2.2 გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2.3 საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების "მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" შესაბამისად მომზადებისთვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და პასივების ანგარიშგებაზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე შემოსავლებზე და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

2.5 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით. კომპანიის ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკში არსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

3.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება როგორც საკრედიტო ასევე წინასწარ გადახდის პირობით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3.3 ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთებისა და რემონტის ყველა სახის ხარჯი, აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.4 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ძირითად საშუალებებზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე გამოყენებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	**სასარგებლო მომსახურების ვადა**
საოფისე ინვენტარი	7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელი

3.5 არამატერიალური აქტივები

აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამრტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია. ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით - წლის განმავლობაში.

3.6 მარაგები

კომპანიის მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ ხარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად.

3.7 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.8 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა, რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებელის გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში.

3.9 გადასახადები

მოგების გადასახადი. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯნება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

საშემოსავლო გადასახადი. „კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%.

3.10 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც ხდება მომხმარებელზე პროდუქციის მიწოდება.
ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

3.11 ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდში მიღებული ფაქტობრივი შედეგები, შესაძლოა, განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

5. ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	**სულ**
წმინდა საბალანსო ღირებულება 1 იანვარი 2023წ	**85,166**	**15,687**	**100,853**
დამატება	-	1,992	1,992
გასვლა	-	-	-
პერიოდის ცვეთა	12,341	3,777	16,118
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2023წ	**72,825**	**13,902**	**86,727**
დამატება	-	-	-
გასვლა	-	-	-
პერიოდის ცვეთა	12,341	**3,305**	15,646
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2024წ	**60,484**	**10,597**	**71,081**

6. ფული და ფულის ექვივალენტები

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფული და ფულის ექვივალენტები უფიქსირდება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

7. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	42,018	28,077
რემონტი	21,202	18,158
დაზღვევა	17,007	13,836
სხვა საოპერაციო ხარჯი	65,889	133,998
	146,117	194,069

8. რისკების მართვა

8.1 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ასეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია, შეძლებისდაგვარად, ცდილობს ლიკვიდურობის მართვას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულებების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში მიუღებელი დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

8.2 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლილებები საბაზრო ფასებში, როგორიცაა გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და კაპიტალის ფასები, გავლენას მოახდენს კომპანიის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო მართვის რისკის მიზანია საბაზრო რისკზე დაქვემდებარების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

9. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია შეინარჩუნებს ფინანსურ მდგრადობას და არ არსებობს რაიმე სახის მოვლენა, რომელიც წარმოშობს ეჭვს არსებით განუსაზღვრელობასთან დაკავშირებით, ასევე კომპანიის უნართან გააგრძელოს საქმიანობა მომავალში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

მთავარი ბუღალტერი

Shorena Bolkvadze 01003001695

Digitally signed by Shorena Bolkvadze
Date: 2025.10.10 17:07:41